განმარტება მწვანე ნარგავების მდგომარეობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით

მწვანე ნარგავების მდგომარეობის შესახებ 2024 წელს მომზადებულ დასკვნასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული ადგილზე დათვალიერებისა და ნარგავების აღწერის საფუძველზე, რის შედეგადაც თითოეულ ნარგავს მიენიჭა შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი.

დასკვნაზე მოთხოვნილი ელექტრონული ხელმოწერა განხორციელებულია.

რაც შეეხება დასკვნაში ასახულ ერთ ნარგავს, რომელიც შემდგომ პერიოდში მოიჭრა, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ქმედება განხორციელდა შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. შესაბამისად, ხის მოჭრის ფაქტი და მისი კანონიერება დასტურდება უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით, რომელსაც თან ვურთავთ წარმოდგენილ დასკვნას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მოჭრილი ნარგავის შესახებ ინფორმაციის დადასტურება შესაძლებელია შესაბამისი ნებართვის თანდართვით, დასკვნაში ცვლილების შეტანისა და ნარგავების ხელახალი აღწერისა და გადანომრვის გარეშე.

ამასთან, გამწვანების პროექტში გათვალისწინებული იქნება მოჭრილი ნარგავის საკომპენსაციოდ იმავე სახეობის ერთი ახალი ხის დარგვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ 2024 წელს მომზადებული მწვანე ნარგავების მდგომარეობის შესახებ დასკვნა, მასზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერით, ხის მოჭრის შესახებ სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის თანდართვითა და საკომპენსაციო ნარგავის გათვალისწინებით წარმოდგენილ გამწვანების პროექტთან ერთად და მიიღოთ აღნიშნული დოკუმენტაცია დასკვნის განახლებისა და ადგილზე ნარგავების განმეორებითი აღწერის მოთხოვნის გარეშე.